ხაშურის მოამბე

№10 (261) 29 ივნისი, 2020 წელი

ჩვენს მკითხველებს

კორონავირუსმა, რომელმაც ჩინეთის ქალაქ უხანიდან დაიწყო სიცოცხლე, მთელი მსოფლიო მოიცვა და პრაქტიკულად, არ დარჩა სახელმწიფო, სადაც მან თავისი მსახვრალი ხელი არ დაატყო. რომ არა ჯანდაცვის მუშაკთა საოცარი თავდადება, მთელ მსოფლიოს, შეიძლება ითქვას, აღარაფერი აკლდა სრულ კოლაფსამდე. კარანტინში და იზოლაციაში მოექცა მილიონობით ადამიანი და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, სადაც ჩვენი გმირი ექიმების და მთავრობის ზედმიწევნით სწორი რეგულაციებით, მოხერხდა, რომ ვირუსის დამანგრეველი შედეგები მინიმალური ყოფილიყო. დღეისათვის შეზღუდვები ოდნავ შემსუბუქდა და ჩვენი რედაქციაც ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა. ყოველ შემთხვევაში,ამ ეტაპზე დასრულებულია "იძულებითი შესვენება" და ჩვენი ვალდებულებების შესრულება მკითხველის წინაშე გრძელდება. წლის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა და რედაქცია ეცდება გაზეთის ე.წ. "ჩაგდებული ეგზემპლარები" დამატებითი ნომრების გამოშვებით აანაზღაუროს და თუ ეს ვერ მოხერხდა, ჩვენი ხელმომწერებისთვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე სრულიად არ მოხდება დანაკლისის ანაზღაურება.

ჩვენ ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას თქვენს წინაშე, ძვირფასო მკითხველო, ვაფასებთ თქვენს ერთგულებას ჩვენი გაზეთისადმი და ვეცდებით ამ ერთგულებას ერთგულებითვე ვუპასუხოთ.

წლის ბოლომდე ხაშურს 13 კმ-იანი ოთხზოლიანი მაგისტრალური შემოვლითი გზა ექნება - სამშენებლო სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა

2020 წლის ბოლომდე ხაშურს 13 კმ-იანი, ოთხზოლიანი მაგისტრალური შემოვლითი გზა ექნება, - სამშენებლო სამუშაოები, რომელიც სხვა სისტემური ინფრასტრუქტურული პროექტების მსგავსად, საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც არ შეჩერებულა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილსა და შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორ გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად დაათვალიერა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ქარსელაძემ პრემიერს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ დროისთვის, სამუშაოები 1,9 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობს, სადაც ასევე შენდება 420-მეტრიანი ხიდი, რომელსაც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯები ექნება.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ აღნიშნული მონაკვეთი, ქვეყნის მთავარი სატრანზიტო ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და მისი ექსპლუატაციაში შესვლით ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. პროექტის დასრულების შედეგად, ასევე გაიზრდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონე და შემცირდება მგზავრობის დრო, გადაზიდვების ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის დარჩენილი 6.4 კმ-იანი გზის მშენებლობისთვის, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო წინადადებების შერჩევა-შეფასება.

"ივერიის" სტადიონი, რამდენიმე თვეში, ახალ სიცოცხლეს დაიწყებს

ხაშურის "ივერიის" საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, შიდა ქართლის რწმუნებულის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა ფეხბურთის ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე მოინახულეს.

ტერიტორიაზე განთავსდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო მოედანი, 2000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, განათება, დამხმარე შენობა-ნაგებობები, ავტოსადგომი, გამწვანების ზოლი და საფეხმავლო ბილიკები. მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება.

სტადიონის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური -კორონავირუსთან ბრძოლის წინა ხაზზე

კორონავირუსის ეპიდემიის საფრთხე ჯერ კიდევ არ ჩამქრალა, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების გასატარებლად და მოსახლეობას კვლავ სიფრთხილის ზომების დაცვისკენ მოუწოდებს. დაიკეტა რამდენიმე მუნიციპალიტეტი და სოფელი. ამ მხრივ, არც ისე რთული ეპიდემიოლოგიური ვითარება იყო ხაშურში. ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური სრულ მობილიზებაში იყო. გატარდა ყველა ის ღონისძიება, რომელიც საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ იყო რეკომენდებული. თუ რა ღონისძიებები გატარდა, როგორი ეპიდ. სიტუაცია იყო და არის ჩვენ მუნიციპალიტეტში, ამაზე ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსი დავით ჩიქოვანი ისაუბრებს და წარმოგვიდგენს ერთგვარ ხუთთვიან ანგარიშს:

–კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით, პირველი მონიტორინგი ხაშურის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე არსებულ ჩინურ სამშენებლო კომპანიებში განხორციელდა. კერძოდ: ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბრიგადა; ჩინეთის სახელმწიფო საინჟინრო-სამშენებლო კომპანია; კომპანია „სინო-ჰიდრო“. მათთვის მონიტორინგი ჩატარდა 28-29-31 იანვარს, განემარტათ მოქცევის წესები, დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები და გაიკრა პლაკატები.

31 იანვარს, ჩინეთის სახელმწიფო საინჟინრო-სამშენებლო კომპანიაში ჩინეთიდან შემოვიდა 15 პირი,რომლებიც მოთავსდნენ კომპანიის მიერ სპეციალურად მომზადებულ საკარანტინო ზონაში. აღნიშნული პირები, 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ეპიდემიოლოგის კონტროლზე, პათოლოგიური სიმტომები არ გამოვლენილა. თებერვლის თვეში, ასევე იზოლაციაში იმყოფებოდა „სინო-ჰიდროს" ორი თანამშრომელი.

2 მარტს, ხაშურის „გორმედის“ კლინიკაში თვითდინებით შემოვიდა ორი ირანელი მძღოლი, ცხელებით. რომლებიც გადაყვანილი იქნენ გორის სამხედრო ჰოსპიტალში (ანალიზით ვირუსი არ დადასტურდა). ჩატარდა ეპიდკვლევა. ხაშურის პოლიციის სამმართველოსთან ერთობლივად, განხორციელდა იმ მცირე სასტუმროების და სასადილოების თანამშრომელთა თერმოსკრინინგი, რომლითაც საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები სარგებლობენ. სკრინინგი ჩაუტარდათ ადგილზე მყოფ მძღოლებსაც. დროებით ფუნქციონირება შეუჩერდათ აღნიშნულ დაწესებულებებს.

22 მარტს, სოფელ ჩუმათელეთში მომუშავე სამშენებლო კომპანიაში 14 ადამიანი ჩამოვიდა მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან. მოხდა მათი იზოლაცია. მათთან კონტაქტში მყოფ პერსონალს ჩაუტარდა თერმოსკრინინგი, ოფისში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. 22 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით, იზოლაციაში მყოფ პირებს ცენრტის თანამშრომლების მიერ უტარდებოდათ ყოველდღიური თერმოსკრინინგი (პათოლოგია არ გამოვლენილა).

12 აპრილს, სოფელ ხიდისყურში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევა (თბილისიდან აგარაკზე ჩამოსული პირი). მოხდა სოფლის ბლოკირება, ჩატარდა ეპიდკვლევა, გამოძახებული იქნა გორის რეგიონული ლაბორატორია, საეჭვო კონტაქტებზე აღებული იქნა ნაცხი და ისინი გადაყვანილ იქნენ გორის სამხედრო ჰოსპიტალში. მათგან, ერთს დაუდასტურდა კორონა ვირუსი, ჩატარდა მთელი უბნის თერმოსკრინინგი. სოფელი გამოცხადდა საკარანტონო ზონად; 14-25 აპრილის პერიოდში, ჩვენი ცენტრის მიერ მიმდინარეობდა ყოველდღიური თერმოსკრინინგი და მონიტორინგი. პათოლოგიის ნიშნები არ გამოვლენილა.

2 მაისს,თვითიზოლაციაზე აყვანილი იქნა 16 პირი,რომელთა ერთერთ ოჯახის წევრს თბილისში დაუდასტურდა კოვიდ-19. აღნიშნულ პირებს ჩაუტარდათ ტესტირება პროტოკოლის მიხედვით და პასუხები იყო უარყოფითი.

16 მაისს, სურამის ერთერთ საცხობში იმყოფებოდა პირი (სატვირთოს მძღოლი, შემოსული სომხეთიდან), რომელსაც შემდგომ დაუდასტურდა კოვიდ 19. საცხობის თანამშრომლები გადაყვანილი იყვნენ იზოლაციაში, 14 დღის შემდეგ ჩაუტარდათ ტესტირება(უარყოფითი).რის შემდეგაც, მოხდა საცხობის ფუნქციონირების აღდგენა.

12 ივნისს,თბილისის ერთერთ კლინიკაში დადასტურებული კოვიდ-19 შემთხვევის ოჯახის წევრები გადაყვანილი იყვნენ იზოლაციაზე. მიმდინარეობდა ეპიდ.დაკვირვება. პროტოკოლის მიხედვით, ორჯერ ჩაუტარდათ ტესტირება,პასუხი უარყოფითია.

მთელი პერიოდის (1 ივნისამდე) განმავლობაში, ეპიდდაკვირვება მიმდინარეობდა ხაშურში მცხოვრებ იმ მძღოლებზე, რომლებიც ინტენსიურად გადაადგილდებოდნენ მეზობელ ქვეყნებში

იანვარ-ივნისის პერიოდში, ხაშურში, თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 200-ზე მეტი პირი.

აპრილის თვიდან დაიწყო მიზნობრივი ჯგუფების ტესტირება. (ტესტირება ჩაუტარდათ სასწრაფო დახმარების,ასევე კლინიკების მიმღებისა და რეამინაციული განყოფილების მედპერსონალს. ტესტირება გრძელდება 14 დღეში ერთხელ).

მიზნობრივ ჯგუფებს დაემატა დიალიზზე მყოფი პაციენტები და პერსონალი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს სამედიცინო პესონალი, ქალაქში მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები. აღნიშნული ჯგუფების ტესტირებისათვის ნიმუშების აღება და ლუგარის ცენტრში გადაგზავნადაიწყო 23 ივნისიდან.

პრევენციული ღონისძიებები ისევ ხორციელდება და ჩვენი სამსახური მზადაა დაიცვას მოსახლეობის უსაფრთხოება.

ახალუბანს რეაბილიტირებული წყლის სისტემა ექნება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ ახალუბნის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის საპროექტო სამუშაოები დასრულებულია.

საპროექტო დოკუმენტაცია ხაშურის მუნიციპალიტეტს USAID Zrda პროექტმა გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში უსასყიდლოდ გადმოსცა.

საპროექტო დოკუმენტაციის გადმოცემის დამადასტურებელ მიღება-ჩაბარების აქტს ხელი USAID Zrda პროექტის ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელით კი მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა მოაწერეს.

ახალუბანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი თავად ალის თემმა შეარჩია პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული გეგმის შემუშავების პროცესში. პროექტის განხორციელების შედეგად რეაბილიტირებული წყლის სისტემით 30 ოჯახი ისარგებლებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან
პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA
Chemonics
Development works here.

ინფექციური დაავადებები ხაშურში - საუკუნის წინ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა წარსულში არაერთხელ შეუწუხებია ინფექციურ დავადებებს, რასაც სერიოზული შედეგებიც მოჰყოლია ადამიანთა მსხვერპლის სახით. ჩვენს ხელთ არის 1818-1920 წლების საარქივო მასალები, რომლებიც ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზისა და ცხრამუხის წმ. ნინოს ეკლესიების მეტრიკულ ჩანაწერებს წარმოადგენენ. გარდაცვალებულთა შესახებ გაკეთებულ ჩანაწერებში იშვიათად შეხვდებით ასაკით (მოხუცებულობით) გარდაცვლილებს, მაგრამ უმეტესობაზე ინფექციური დავადებაა ნაჩვენები (მითითებული). ეს დავადებებია ცხელება, საოფლე, ყვავილი, ყალათმა, წითელა, ყივანახველა, სახადი, მუცელა, ციება და სხვ.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მუნიციპალიტეტისათვის XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების შუა ხანები, როცა მთელ ზემო ქართლში გავრცელდა ინფექციური ავადმყოფობა, რომელიც ხოლერის სახელით არის ცნობილი.

1890 წლის 4 მარტს, გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „შარშან დეკემბრიდან ამ სოფელში (ე.ი.ზემო ჭალაში-თ.ლ.) გაჩნდა რაღაც გადამდები ავადმყოფობა, რომელმაც არ დატოვა არცერთი ოჯახი,რომ შიგ არ დაბუდებულიყო. თუმცა პირველში კანტი-კუნტად იყო გავრცელებული და მხოლოდ თითო-ოროლა კვდებოდა. შემდეგ იგი ესე იანვრის გასულს, ისე მოედო სოფელს, რომ ვისაც შეხვდა, აღარ აკეთილა. ზოგის ოჯახში სამი-ოთხი სული გამოასალმა წუთისოფელს. თუმცა გორის მაზრის ექიმი მოვიდა რამდენჯერმე, მაგრამ ამანაც ვერაფერი შემწეობა მისცა ხალხს. ან რა შემწეობა უნდა მისცეს გორიდგან ერთისა ანუ ორის საათის მოსულმა ექიმმა? ურიგო არ იქნებოდა, რომ სამისა ანუ ოთხის დღით დარჩენილიყო ამ სოფელში და შეღავათი რამ მიეცა სნეულთათვის“.

რამდენიმე დღის შემდეგ, 13 მარტს, გაზეთი კვლავ მიუბრუნდა საკითხს: „სოფელ ზემო ჭალაში ძლიერ არის გავრცელებული რაღაც მოარული სნეულება, რომელიც ახლა ხაშურსაც მოედო. საფიქრებელია, რომ სურამშიც არ გავრცელდეს. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს, ვისაც ჯერ არს“.

შედეგი გავრცელებული ინფექციური სენისა სავალალო იყო. იმავე წლის 21 ივლისს, იგივე „ივერია“ სააბაშიოელის ხელმოწერით აქვეყნებს წერილს, რომელშიც საუბარია სააბაშიოში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე: „... სააბაშიოში მარგებელი და კარგი ჰაერია და სხვადასხვა სამკურნალო წყლებით ბევრია გამოჩენილი. ამისდა მიუხედავად მაინც სხვადასხვა გვარი სნეულება, ავადმყოფობა ხშირად იჩენს ხოლმე თავს ამ ადგილებში. მაგალითად, ამ ორის წლის წინად რაღაც საოფლის ხურვების მსგავსმა გადამდებმა სენმა თითქმის სულ ამოჟლიტა სოფელ მოლითის ყმაწვილები და ამას თავის დროზედ-კი ყურადღება არავინ მიაქცია. თითქმის ამნაირავე სენი ერთის წლის შემდეგ, ესეიგი წარსულს ზამთარს, სულ ახლად სოფელ ზემო ჭალაშიაც გაჩნდა და სულ რჩეული ახალგაზრდა გლეხები ინაცვალა. შემდეგ ამ „ინფლუენციაც“ დაერთო და დანაკლისი შეუსრულა ხალხს. რასაკვირველია, რომ სააბაშიოში მომეტებული ნაწილი ანთებითა, ანუ როგორც აქ ეძახიან, ჭვლითა, თავის ანთებითა და სიმსივნით ხდება ავად და იხოცება. თავის ტკივილი და სიმსივნე დედათა შორის უფროა გავრცელებული“.

წერილის ავტორი გამოსავალს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მკაცრ დაცვაში ხედავს, რაც საშუალებას მისცემდა საზოგადოებას თავი დაეცვა „ათასგვარი სენის ადვილად მოფენისა და გავრცელებისაგან“.

20 ოქტომბერს, გაზეთი „ივერია“ წერდა: „სააბაშიოს სხვადასხვა სოფლებში, თითქმის ეს ოთხი წელიწადია, რაც ათასმა გვარმა გადამდებმა სენმა იჩინა თავი და მუსრი გაავლო იქაურობას. ოთხი წლის წინად ს. მოლითში გაჩნდა ხურებას ნაირი სენი და ეს პატარა სოფელი თითქმის სულ გაჟლიტა-გაწყვიტა. აქედგან ეს სენი ს. ჩრდილს გადავიდა და აქაც რამდენიმე სული იმსხვერპლა. მესამე წელიწადს, ესეიგი შარშან, ასეთივე სენი ზემო ჭალაში გამოცხადდა აქ-კი სწორედ დიდი ზარალი ჰქონდა“.

1890 წელს, ზემო ჭალაში აღრიცხულია გარდაცვალების 32 შემთხვევა. აქედან 23 შემთხვევა უკავშირდება სახადს, 3 -ჭვალს, 1 –წყალმანკს, 1 –საყმაწვილოს, 1 –ცხელებას, 1 –„კურაგანს“, 1 –ტრაგიკულ შემთხვევას („მაშინამ გაიტანა“.

მომდევნო 1891 წელს დაფიქსირებულია გარდაცვალების 48 შემთხვევა. აქედან 35 გარდაცვლილია სხვადასხვა ინფექციური დავადებით (ყვავილი, სახადი, ცხელება, საყმაწვილო და სხვ.).

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა რაიონისათვის 1892 წელი. ივლისიდან წლის ბოლომდე რაიონში სხვადასხვა ინტენსივობით თითქმის ყველა სოფელს მოედო ინფექციური დავადება, რომელიც „ხოლერას“ სახელწოდებით არის ცნობილი. არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც ეს დავადება არ სწვეოდა. იყო მსხვერპლი. ზოგიერთი ოჯახიდან დავადებამ 3 და მეტი წევრი იმსხვერპლა. სენმა მაღალი წოდების ოჯახებშიც შეაღწია (აბაშიძეები, ვეზირიშვლები და სხვ.).

ქართული პრესა სისტემატურად აშუქებდა რაიონში შექმნილ ეპიდომოლოგიურ მდგომარეობას, ამავე დროს, იძლეოდა გარკვეულ რეკომენდაციებს და მოუწოდებდა მოსახლეობას მათი დაცვისაკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „ივერია“.

გაზეთმა რაიონში ხოლერის გავრცელების შესახებ პირველი ცნობა 24 ივლისს გამოაქვეყნა. რუბრიკაში „ახალი ამბავი“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იუწყებოდა, რომ სოფელ ხცისში „ოცს ივლისს, შემდეგ საღმრთო ლიტურგიისა და პარაკლისისა, რომელსაც დაესწრო მრავალი ხალხი, გახდა ხოლერით ავად ოცი სული ქალი და კაცი, რომელთაგან 21-ს (ივლისს-თ.ლ.) გარდაიცვალა 10 და დარჩა ავადმყოფი ათი, წუხელის გარდაიცვალა ორი და კიდევ ავად არის რვა, მაგრამ დღემდის არც ექიმი და არც არავინ არ მოსულა სანახავად და სანუგეშოდ ხალხისა. თითქმის მთელი სოფელი გაიხიზნა ტყეებში, მხოლოდ მღვდელი და რამდენიმე კაცი დარჩა სოფელში სანუგეშოდ ავადმყოფთა და დასამარხავად გარდაცვლილთა“.

გაზეთის ამავე ნომერში აღნიშნულია, რომ სურამში ხოლერისაგან „გარდაიცვალა არუცევი, ავად გახდა ერთი დედაკაცი... სოფ. ხაშურში ავად გახდა ერთი გლეხ-კაცი“.

გაზეთში, 21 ივლისის მდგომარეობით, ვრცელი ინფორმაციაა გამოქვეყნებული სურამის შესახებ: „ამ წყეულმა ხორეველამ არც ჩვენი სურამი დასტოვა უყურადღებოდ. აგერ ერთი კვირაა, რაც გვეწვია და პირველად იმ ქუჩაზედ იჩინა თავი, სადაც ყოველგვარი უსუფთაობა იყო. დღემდინ უკვე იმსხვერპლა ხუთი კაცი და ორი ქალი. ექიმები ამბობენ, რომ მათში ოთხს ნამდვილი ხორველა ჰქონდაო და ხოლერით გარდაიცვალნენო. დღეს ხოლერით ავადმყოფებს სამს ქალს და ორს კაცს ასახელებენ.

სურამელები დიდს გაფაციცებაში არიან და არც არასა ჰზოგავენ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვეში 600 მანეთი გადასდო სურამმა ექიმებისათვის. ამასთანავე დაიქირავეს ოთხი ტაჩკა, ექვსი კაცი, რომლებიც ივლიან სურამის ქუჩებში დასასუფთავებლად და ნაგვის გასატანად. აგრეთვე პირველს ქუჩაზედ ჰმართამენ უფასო საჩაიეს, სადაც შეეძლებათ საწყალ ხალხს სვას მუქთად ჩაი. თუმცა, მართალია, სურამი თავის დროზედ არ შეუდგა ამ კეთილ და სასარგებლო საქმეს, მაგრამ არც ეხლაა ძრიელ დაგვიანებული. უნდა ვუმადლოთ გაზეთების ცნობებსა: მათის შემწეობით შეისწავლეს ეს კეთილი საქმე ხოლერასთან ბრძოლისა და მიჰბაძეს თავიანთ კვალობაზედ ქალაქსა. ღმერთმა ბრძანოს, რომ სურამის მაგალითი სხვა ამგვარ დაბებსაც აეღოთ და ისე გულმხურვალედ შესდგომოდნენ საქმეს, როგორც დღეს სურამი შეუდგა. ეხლა ყოვლად საჭიროა სურამის გარშემო კარანტინი შემოარტყან და არც არავინ შეუშვან და არც არავინ გამოუშვან, თორემ მთელს სურამის მხარეს მოედება და მაშინ ხსნა სოფლის გლეხებისა აღარას ღონისძიებით აღარ იქნება: სურამის მხარეზედ არც ერთს ალაგას არც ექიმი და არც უბრალო ფერშალი არ მოიპოვება, სურამში-კი, მადლობა ღმერთს ლაზარეთია და რამდენიმე ექიმი“.

ხაშურშიც, იმავე დღეებში, აღმოჩნდა ხოლერით დაავადებული, რამაც მოსახლეობაში დიდი შიში გამოიწვია: „21 ივლისს, დღეს, საათის 11-ზედ გახდა ხოლერით ავად აქ წრომიდან მოსული გლეხი ეპტო დაბრუნდაშვილი. რკინიგზის მკურნალმა შულცმა გასინჯა და სთქვა, რომ ნამდვილი აზიური ხოლერაა. ავადმყოფი შიგ შუა სოფელში წევს. პოლიციამ არავითარი განკარგულება არ მოახდინა, რომ სოფლიდან წაეყვანათ და სურამის ლაზარეთში დაეწვინათ ავათმყოფი. მთელი სოფელი შეშინებულია. ეჭვი არ არის, რაკი ავადმყოფი ღვთის ანაბარად დასტოვეს, მთელს სოფელს მოედება. გუშინ მთელის ხაშურის მცხოვრებლები და ჭალისა შეიკრიფნენ ჭალის ეკლესიაში, აწირვინეს მღვდელს და იქიდამ მთელის სოფლის ქალები ამოვიდნენ ხაშურში, აქ პარაკლისი გარდაიხადეს. აქედგან გაემგზავრნენ სურამში, იტრიის ეკლესიაში ფეხშიშველნი. ხალხს წინ მიუძღვოდა მღვდელი სუხიევი. გარდაიხადეს აქაც პარაკლისი. ყველა ღმერთს ევედრებოდა, გადაგვარჩინე ამ განსაცდელსაო. მდუღარება ჩამოსდიოდა ყველას. მთლად სურამის მცხოვრებლები იყვნენ შეკრებილნი. იმათ თავიანთ კვალობაზედ გარდაიხადეს პარაკლისი და შეეწირათ ღვთისთვის საღმრთო“.

სოფელ წრომშიც მძიმე მდგომარეობა იყო: „ნამდვილად და დარწმუნებით შევიტყვეთ, რომ ხუთის ვერსის სიშორეზედ ამ სოფლიდამ გაჩენილა ხოლერა. სოფელ წრომში 20 ივლისს ღამით გამხდარა ავად 15 კაცი, ამათში მომკვდარა ოთხი კაცი, თერთმეტი ავად არის...“.

ეს არის პირველი ცნობები რაიონში ხოლერის ეპიდემიის შესახებ.

გაზეთ „ივერიას“ შემოღებული ჰქონდა რუბრიკა -„ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ“,- რომელშიც რამდენიმე თვის განმავლობაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები ქვეყნის მასშტაბით დაავადების გავრცელების, მის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებისა და მისით გამოწვეული შედეგების შესახებ. გაზეთში თითქმის ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ხაშურის რაიონში შექმნილ ეპიდომოლოგიურ მდგომარეობაზე. გთავაზობთ გაზეთიდან ამოღებულ ინფორმაციას თანმიმდევრულად.

25 ივლისი:

„წინადვე უნდა გვცოდნოდა, რომ წრომს ხოლერა არ დატოვებდა ისე, რომ თავისი საზარელი ვიზიტი არ გაეკეთებინა ჩვენთვის. წრომის დიდი უბედურება ის არის, რომ ამ სოფელს წყალი არ აქვს... დარწმუნებული ვარ, დღეს რომ წყაროს წყალი უხვად ჰქონოდა ჩვენს სოფელს, შესაძლოა, ერთიც არ გარდაცვლილიყო ხოლერით. სუფთა, ცივი და მარგებელი წყაროს წყალი პირველი საქმეა ამისთანა მოარულის დროს, როგორიც არის ხოლერა. ეხლა, როცა ჩვენ თვალწინ წაგვექცნენ ლომივით ვაჟკაცნი, მარჩენელნი თავიანთ ცოლ-შვილისა და სახლში ქონებ-დოვლათის შემომტანნი, ბევრსა ვნანობთ...“.

26 ივლისი:

„სოფელ კრისისხევში (კრისხევში-თ.ლ.) ავად გახდა 1, სოფელ ხაშურში ავად გახდა 1.

29 ივლისი:

„დუმაცხოში (დუმაცხოვი-თ.ლ.) ავად გახდა 1; გომში გარდაიცვალა 1; წრომში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2; ზემო ჭალაში ავად გახდა 1; სოფელ ხცისში ავად გახდა 22, გარ-დაიცვალა 11.“.

31 ივლისი:

„სადგურ ხაშურში 29 ივლისს ავად გახდა კონდუქტორი ივანე ვოევოდა და გომის ბარაკში გაჰგზავნეს“.

2 აგვისტო:

„დუმაცხოში (დუმაცხოვი-თ.ლ.) ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1“.

4 აგვისტო:

„გომის სამკურნალოში გაჰგზავნეს კონდუქტორი შარაბიძე, რომელიც ავად გახდა ხაშურში“.

5 აგვისტო:

„ხაშურში გარდაიცვალა 1; სურამში ავად გახდა 1; ხცისში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2; ზემო ჭალაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2“.

6 აგვისტო:

„აზარმაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; ტეზერში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1; ზემო ჭალაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1; ხაშურში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; სურამში ავად გახდა 1.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ სადგურებთან გამართა სპეციალური ფარდულები, სადაც მკურნალობდნენ ხოლერით დაავადებულ თავიანთ მუშა-მოსამსახურეებს. ასეთი ფარდული გაიხსნა სადგურ გომში. შემდგომში სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ ფარდულებში ემკურნალათ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებისთვისაც. განკარგულებაში ნათქვამი იყო „რკინის გზის მკურნალნი მოვალენი არიან, რომ ამ ავადმყოფთაც ყური უგდონ და შემწეობა აღმოუჩინონ, როდესაც დრო ექნებათო“.

9 აგვისტო:

„კრისისხევში (კრისხევი-თ.ლ.) ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; სურამში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3.

რკინის გზის ხაშურის სადგურზედ ავად გახდა სადეზინფექციო სადგურის მოსამსახურე ყარამან ტოგონიძე და გომის ფარდულში გაიგზავნა“.

11 აგვისტო:

„ხაშურის სადგურზედ ავად გახდა ფეხმძიმედ მყოფი, ზედამხედველის მეუღლე ორჯონიკიძისა და მუშა ჭანიშვილი, ორივენი გომის ფარდულში გაიგზავნა.“

„ექსპერტმა საფილოქსერო დასისამ ბ-ნ. ფარგალოვმა და ბ-ნთ მაკაროვმა, დანდუროვმა, შათირიშვილმა და მიხაილიანმა მოიწვიეს სურამის სამხედრო სამკურნალოს ექიმი ბ-ნი ფონკრუზე, რომელმაც აუხსნა, როგორ უნდა მოუარონ ხოლერიან ავადმყოფებს და როგორ უნდა მოახდინონ დეზინფექცია და მისცა ამის შესახებ მოწმობა, რომელიც ბ-მა ფირალოვმა გამოაგზავნა ტფილისის გუბერნატორთან და სთხოვა, ნება მოგვეცი ხოლერიან ავადმყოფთან წამლობისა და დეზინფექციის მოხდენისო. ბ-მა გუბერნატორმა მაშინვე მისწერა სამკურნალო განყოფილებას, რომ საფილექსერო დასს აღმოუჩინოს შემწეობა და გაუგზავნოს

(დასასრული IV გვერდზე)

ინფექციური დაავადებები ხაშურში - საუკუნის წინ

(დასასრული)

სადეზინფექციო და სხვა წამლები“.

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია სოფელ ტეზრიდან პავლე ყიფიანის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ეს უბედურება მით უფრო გულსაკლავი და გულდამწველია, რომ ჩვენ, ვისაც ცოტა ძალაცა და შეძლებაც ნებას გვაძლევდა მიგვეღო შესაფერი საშუალებანი ამ საშინელის სენის გავრცელების წინააღმდეგ, ჩვენ გავრბოდით და ვიმალებოდით... რაც უფრო უკვირდება ადამიანი ამ სენის გავრცელებას, მით უფრო და უფრო რწმუნდება, რომ მიზეზი უბედურებისა ხალხის უვიცობაა, მთლად უყურადღებოდ მიტოვება. არც მორიდება, არც შიში ხალხს არა აქვს, მანამ სამს-ოთხს კაცს ზედი-ზედ სიკვდილი არ გამოჰგლიჯავს ხელიდგან. ამას შემდეგ-კი ხალხი გარბის და გარბის ისე, რომ სახლს გამოუკეტავად სტოვებს. აქ ადმინიტრაცია ვერაფერს გააწყობს, აქ გულ-შემატკივარი ადამიანი უნდა, რომელიც ყოველდღე უნდა ეჩიჩინებოდეს და აფრთხილებდეს ხალხს. სამწუხაროდ, ეს გულ-შემატკივარნი დამრიგებელნი არსად არიან.

განა სოფლებს რომ დამრიგებელი ჰყავდეს, ის დაემართებოდათ, რაც ეხლა ემართე-ბათ: ხოლერიანი ალაგიდგან მოვიდა ვიღაც ქალი აბაშიძესთან. მეორე დღესვე გახდა ჭალაში თავ. ნიკოლოზ აბაშიძე ავად და გარდაიცვალა. ეს დედაკაცი ამოვიდა ტეზერში და იქაც იმ სახლში, სადაც ამოვიდა, გახდნენ ავად ორი და ერთი კიდევ ავად არის, ორჯონიკიძე ალექსის შვილი. აქედგან სენი გადაიტანეს გაღმა ტეზერში, სადაც დღეს ექვსი კაცია ავად. ეს ამბავი მოხდა ორი-სამი დღის განმავლობაში, ორიც საეჭვოდ არის ავად ყიფიანთუბანში (პატარა ტეზერი). როგორც ხედავთ ერთმა ადამიანმა ოთხ სოფელს მოსდო ავადმყოფობა და სოფელმა სიამოვნებით იხმარა საშუალებანი, რომელიც-კი ურჩიეს. არამც თუ უბრალო სასანიტრო წესები იყო დადგენილი, არამედ სოფ. ბეკამმა გამოაცხადა, რომ ორმოც თუმნამდინ გადავიხდით, ოღონდ ერთი ექიმი მოგვაშველეთო. შეიძლება ამ საშუალებით გაუმაგრდეს სოფელი ჭირსა, მაგრამ პატრონი-კი რომ ჰყოლოდათ, უფრო ადრე დაიწყებდნენ თავის თავისთვის ფიქრსა და გადარჩებოდნენ კიდეც სენს.

გამოღმა ტეზერში-კი ხმარობენ საშუაალებას, რომ სენი არ გავრცელდეს, მაგრამ გაღმა ტეზერში ჯერ არავითარი საშუალება არ უხმარიათ. სამი დღეა, რაც აქ ავადმყოფები აღმოჩნდნენ და არც ადმინისტრაცია, არც ექიმი იქ არ ყოფილა. თუმცა ამ სოფლის მდებარეობა და მოსახლეთა სიმჭიდრე ისეთია, რომ თუ მალე არ მიეშველენ, მთელს სოფელს ერთბაშად მოედება სენი“,

12 აგვისტო:

,,რკინის გზის ხაშურის სადგურზედ 10 აგვისტოს ავად გახდა და გომის სახოლერო ფარდულში გაჰგზავნეს რკინის(გზის) მომუშავე მიხეილ მეტივიშვილი“.

15 აგვისტოს ,,ივერია“ კვლავ აქვეყნებს პავლე ყიფიანის წერილს ,,კიდევ ხოლერის შესახებ“. ავტორი წერილში ყურადღებას მიაქცევს რაიონში გატარებულ ღონიძიებებზე და წერს: ,, ყველამ იცის, რომ ის უბედურება, რომელიც ხოლერის სახით დაატყდა ჩვენს ქვეყანას, უყურადღებოდ და უგრძნობლად არ დასტოვებს იმათ, ვისაც გულს უფრო ღრმად და მწვავედ უნდა მოხვედროდა. თავად-აზნაურობის ბანკმა ამ სენთან საბრძოლველად წინად გადადებული ათას-ორასი თუმანი ორი ათას თუმნამდის აიყვანა. თავად გრუზინსკი და წინამძღოლნი უფრო და უფრო თავ-გამოდებით ებრძვიან ამ საშინელ სენს. მცირე ხნის გამოცდილებამ და დრომ დღეს თითქმის უნაკლო ორგანიზაცია შექმნა. საყურადღებოა აქ როლი ჩვენის ინტელიგენციისა. ის ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენტები... დღეს როდესაც გაკვრით გაიგეს, რომ საშუალებას დაგახმარებთო, იბრძვიან ხალხისთვის... ამ ორს-სამს დღეში სოფელ ქვიშხეთში შესდგა სასანიტრო კომისია (თუ კომიტეტი). ერთი კიდევ ქალაქში იმყოფებიან: ახალგაზრდა ინჟინერი დეკანოზიშვილი და სტუდენტი ნ. მელიქიშვილი, რომელნიც კიდევ ორ ამხანაგით, ექიმი ელიაშვილი და სტუდენტი ჭიჭინაძითურთ ადგენენ მეორე დასს, რომელიც, როგორც რომ თავ. გრუზინსკი მისცემს ყველა საჭირო საშუალებას, მაშინვე გაემგზავრება გორის მაზრაში, ამათ კიდევ ამბობენ, სხვა ახალგაზრდობა მიჰყვება. ჩვენ დარწმუნებით შევიტყეთ, რომ ბატონ ა. ს. ფირალოვის სურამის საფილოქსერო დასს ნება მიუღია გუბერნატორისაგან და თავის რაიონში ხოლერის მთელის დასით შებრძოლება... ჩვენ სიხარულით ვეგებებით ახალგაზრდობის ამ გადაწყვეტილებას და დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ხოლერასთან ბრძოლაში ისინი არ ჩამოუვარდებიან დაქირავებულს ექიმებს...“ . . ..

18 აგვისტო:

,,ზემო ჭალაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; ბიჯნისში ავად გახდა 1; სურამში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1“.

19 აგვისტო:

,,სოფელ ხაშურში გარდაიცვალა 2; სოფელ ზემო ჭალაში ავად გახდა 2; სოფელ კოლე-ეთში (ყელეთში-თ.ლ.) 4 ავადმყოფია“.

23 აგვისტო:

,,სურამში გახდა ავად 1, გარდაიცვალა 1; სოფელ მჭედლიანთკარში (მჭედლიშვილების უბანი-თ.ლ.) გახდა ავად 6, გარდაიცვალა 3, ავად აღარავინაა“.

ვაყელების ხელმოწერით გამოქვეყნებულია წერილი: ,,გორის მაზრის სოფ. ვაყაში ხოლერისაგან უზრუნველსაყოფად შეუდგნენ ზრუნვას ნაფიცი ვექილი კ. რეიტერი, თავადი ლუკა ბეგთაბეგოვი და თავადი გ. სოლომონის ძე ბეგთაბეგოვი. თავიანთის ხარჯით მოიწვიეს ფერშალი, გაასუფთავეს სოფელი და თავისის ხარჯით უყიდეს წამლები. დღეს ვაყას ჯერ ფრჩხილიც არ წამოსტკივებია, თუმცა გარშემო ხოლერა მძვინვარებს. ნება გვიბოძეთ მადლობა ვუთხრათ თქვენის გაზეთის შემწეობით რეიტერს და ბეგთაბეგოვებს ჩვენის მამობრიულის ზრუნვისათვის“.

25 აგვისტო:

გაზეთის ნომერში გამოქვეყნებულია ლევან ციციშვილის წერილი: ,,გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ფერშალს, ბ-ნს ვასილ გლურჯიძეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ჩვენის გულისათვის, სინდისიერად და პატიოსნად შეასრულა თავისი ზნეობრივი მოვალეობა, დიდის თავგამოდებით და უშიშრად დაიარებოდა ხალხთან - ავადმყოფებთან და რაც ძალა შესწევდა გულმტკივნეულობით უვლიდა ავადმყოფებს. თითქმის ყველანი ვისაც ხელი მოჰკიდა ბ-ნმა გლურჯიძემ, განიკურნენ სენისაგან. ერთი-ორი თუ მოკვდა, ისიც იმის გამო, რომ დროზედ ვერ მოესწრო წამლები. წრომელები დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ის კაცთმოყვარე და მადლიანი კაცი არ გაგვჩენოდა, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე დაგვემართებოდა. დიდს მადლობას შევსწირავთ აგრეთვე უგანათლებულეს თავადს პეტრე ა. გრუზინსკის, რომელმაც ეს მადლიანი კაცი გამოგვიგზავნა. ვმადლობთ აგრეთვე, ჩვენ სათავადაზნაურო ბანკის მმართველობას, რომელმაც ხოლერასთან საბრძოლველად ფული არ დაიშურა და ჩვენც ცოტა რამ მოგვაწოდა. ვევედრებით ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ მთლად ჩვენი საქართველოც ასრე განთავისუფლებულიყოს და გადარჩენილიყოს ხოლერას, როგორც დღეს ჩვენი სოფელია გადარჩენილი და განთავისუფლებული“.

10 სექტემბერი:

გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებული წერილი გომს ეხება: ,,ვთქვით, ეს არის გადავრჩით ხოლერასაო, და ის-კი არა თუ ამ სიკეთის დროს 1 სექტემბერს ამ სენმა იჩინა კიდევ თავი. გომელებს ეს თავიანთი უბედურება, არავისთვის არ უცნობებიათ, ვაი თუ ჩვენი ავადმყოფები ბარაკში წაიყვანონო და მკურნალებმა მოჰკლანო. 5 სექტემბრამდე გამხდარა ავად თერთმეტი სული, ამათში გარდაიცვალა 4 და 5 სექტემბერს - ექვსი სული: ნინიკა გიკაშვილი, იმისი ცოლი და იმისი შვილი, ლექსა და ნინა ჩოჩიშვილი და თედო ჩოჩიშვილის მეუღლე. ხუთიც კიდევ ავად არის.

5-ს სექტემბერს მოვიდა პოლიციის მოხელე ღონისძიებათა მისაღებად და უნდოდა ავადმყოფნი ბარაკში გადაეყვანა, მაგრამ ამაზე უარი გამოაცხადეს ყველამ, ავადმყოფებმა და იმათმა პატრონებმა. პოლიციამ ძალა ვერ დაატანა და ავადმყოფები ჯერ ისევ თავიანთ სახლებში დარჩნენ. ადვილად შეიძლება, რომ ეს სენი ყველა იმ სოფელშიაც გადავიდეს, სადაც დღემდე მშვიდობიანობა იყო. ვაყა, აძვისი, კოდა, ფლევი, საფალავანდო და სხვა სოფლები.

როგორც აღმოჩნდა, სენი გავრცელებულა დიდის უსუფთაობის გამო. ამასთანავე აქ მოუტანიათ ახლო-მახლო სოფლებიდან ნესვი და საზამთრო, ეზოში პურზედ და ქერზედ გადაუცვლიათ, ეზოშიც ფულზედ გაუყიდნიათ. ნესვი და საზამთრო მკუხე და მოუსვლელი ყოფილა. ლექსო ჩიჩიშვილს ბევრი საზამთრო უჭამია და იმავ ღამეს გამხდარა ავად. საჭიროა აეკრძალოს მებაღეებს ნესვის და საზამთროს გაყიდვა და ყველა ავადმყოფები გადაყვანილ იქმნან ეხლავე რკინის გზის ბარაკში, რომელიც აგებულია შიგ გომშივე“.

11 სექტემბერი:

,,ხაშურის სადგურზედ 3 სექტემბერს ავად გახდა ხელოსანი ბერნიცკი. 4-7 სექტემბერს ზემო ჭალაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 4, დარჩა 7; ზემო გომში ავად გახდა 4; სოფელ ტეზერში ავად გახდა 2“(#192).

,,გომში ხოლერამ იმატა და ამიტომ იქ გაგზავნილ იქმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ექიმი ხუდადოვი ფერშლებითურთ. გუშინწინ, 9 სექტემბერს, ხუდადოვმა მოახდინა დეზინფექცია გომის ყველა იმ სახლში, სადაც კი ხოლერით ავადმყოფები აღ-მოჩნდნენ“. 1

12 სექტემბერი

,,დაუპატიჟებელ სტუმარმა თითქმის მთელი ქართლი შემუსრა, მაგრამ გადავრჩით ორმოციოდე პატარ-პატარა სოფელი, რომლებიც სადგურ გომის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამ კეთილ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ზოგიერთ ადგილობრივ მემამულეს, როგორიც მაგალითებრ თავ. გრიგოლ ნიკოლოზის ძეს დიასამიძეს, თავ. კოტე მიხეილის ძეს ამირეჯიბს და სხვას. განსაკუთრებით თავ. .. ბეგთაბეგოვს, რომელმაც სოფელი ვაყა ორ ვერსზედ მდებარე სად. გომიდგან საუკეთესოდ შეინახა, თუმცა მისის სადგურთან ასე ახლოს ყოფნის გამო ადვილად შეიძლებოდა ხოლერა გავრცელებულიყო სხვა ზემო სოფლებშიაც. ასე გადარჩენილთ გვეგონა ჩვენი თავი, მაგრამ კიდევ შიშში ვყოფილვართ. სოფელ დოღლაურში ოსები სცხოვრობენ, რომელთაც ეს სახადი სდგომიათ და თურმე ჰმალავდნენ, რადგან არც წამალი და არც ექიმი არა სწამთ და ფარდულში წაყვანისაც დიდად ეშინიათ. ეს დამალული სახადი ამ თთვის ხუთს გამოაშკარავდა, მაგრამ არ გამოვიდა, აქამდე ავადმყო-ფები ისევ სოფლებში არიან და ჯერ ფარდულში არ წაუყვანიათ. ექიმს არ იკარებენ და ჭუჭყიანს გომ - საბძელებშია ათამდის ავადმყოფი. დღეში სამი-ოთხი იხოცება. ეს საქმე დიდად საყურადღებოა და თუ დროზედ არ უწამლეს, შეიძლება ამ გადარჩენილ პატარა კუთხეს საზოგადოდ ეწვიოს ხოლერა და აქ დაიბუდოს, რადგან ჩვენი ხალხი გომს ვერ ასცდება და დოღლაურიც იქვე გახლავთ“.

11 სექტემბერი:

,,სურამი: გუშინ, 15 სექტემბერს გაუქმდა საზაფხულო სარკინიგზო სამკურნალო“.

17 სექტემბერი:

,,ზემო გომს ავად გახდა 8; ზემო ჭალას ავად გახდა 7. 13 სექტემბერს ხაშურს ავად გახდა 1 ქალი, რომელიც გომის ფარდულში გაგზავნეს“.

20 სექტემბერი

,,ხოლერამ ბევრი ოჯახი დატოვა გორის მაზრაში ულუკმა-პუროთ. აი ერთი მაგალითი: სოფელ ზემო ჭალას, ხაშურის ახლოს, ცხოვრობდა სოლო თომაძე. სამის წლის წინად ეს თომაძე გულ-დადებით უვლიდა ინფლუენციით ავადმყოფთ და აგრეთვე ეხლაც ხოლერიან ავადმყოფთ შველოდა. მომმისთვის თავ-გადადებულს თომაძეს ხოლერა შეხვდა და წუთისოფელს გამოასალმა. საბრალოს დარჩა ცოლი, ოთხი შვილი და მოხუცებული, 120 წლის დედა. მთელი ეს ოჯახი დიდსა და გამოუთქმელ სიღარიბეშია“.

22 სექტემბერი

,,სოფელ ზემო გომში 12 ავადმყოფიდგან მორჩა 8, 19 ენკენისთვეს დარჩა 4; სოფელ ზემო ჭალაში 12 ენკენისთვეს იყო 3 ავადმყიფი, ავად გახდა კიდე 1. გარდაიცვალა 2, მორჩა 1; 19 ენკენისთვეს დარჩა 1 ავადმყოფი“.

25 სექტემბერი:

,,სოფელ ზემო გომში ხოლერით ავად იყო 4, მორჩა 2, გარდაიცვალა 1. ზემო ჭალას ავად იყო 2, კიდევ ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1“.

30 სექტემბერი:

,,სოფელ ზემო ჭალაში 2 ავადმყოფი იყო, გარდაიცვალა 1; 22 სექტემბრისთვის 25 ავ-ადმყოფი იყო. სოფელ ზემო გომში იყო 4 ავადმყოფი, მორჩა 2, გარდაიცვალა 1. 23 სექ-ტემბერს ავად იყო 1. დანარჩენ სოფლებში არარავინ გამხდარა ავად“.

3 ოქტომბერი:

,,სოფელ ზემო-გომში მორჩა 1, ახლად არავინ გამხდარა ხოლერით ავად. სოფელ ზემო ჭალაში მორჩა 2, ავად აღარ გამხდარა. გორის მაზრის ექიმმა, როცა ეს უკანასკნელად დაიარა, ხოლერით ავადმყოფი აღარსად აღმოჩნდა, გარდა ბორჯომის საბოქაულოსიო“.

4 ოქტომბერი:

,,ამ ზაფხულს დეზინფექცია მოვახდინეთ გორის მაზრისა და სურამის საბოქაულოში შემდეგს ხოლერიანს სოფლებში: . . . ცხრამუხაში-4 და ზემო ჭალაში-7. გიორგი დეკა-ნოზიშვილი. 1892 წ. 17 სექტემბერი“. გაზეთი თავის 250-ე ნომერში მიუთითებდა, რომ გ. დეკანოზიშვილთან ერთად ,,დეზინფექცია მოახდინა მედიკმა მელიქიშვილმა''.

ამ ცნობით მთავრდება ხაშურის რაიონში 1892 წელს ხოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებული ინფორმაციების ნაკადი გაზეთ ,,ივერიაში“. სენმა არაერთი ადამიანი იმსხვერპლა. მომდევნო, 1893 წლის ზაფხულშიც გაჩნდა რაიონში ეს სენი, მაგრამ როგორც გაზეთიდან ირკვევა მისი გავრცელების არეალი შემცირდა იყო წინა წლებთან შედარებით და მსხვერპლიც ნაკლები იყო. თუმცა მომდევნო წლებშიც თავს იჩენდა ხოლმე არაერთი ინფექციური დავადება, რაც შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას.

თამაზ ლაცაბიძე

აგროდიზელით ფერმერების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა შეუფერხებლად მიმდინარეობს

შიდა ქართლში, შედავათიან ფასად აგროდიზელით ფერმერების უზრუნველყოფის პროგრამის მიმდინარეობას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი ადგილზე გაეცნო.

მინისტრის პირველი მოადგილე რეგიონში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ილია თამარაშვილთან, შიდა ქართლის რეგიონის რწმუნებულის მოადგილესთან, ნუგზარ სამხარაძესთან და კომპანიის „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ დირექტორთან, ლევან გიორგაძესთან ერთად იმყოფებოდა.

„იმ შედავათებით სარგებლობას, რაც სახელმწიფოს მიერ იქნა განსაზღვრული სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ფერმერები შეუფერხებლად შეძლებენ. პროგრამის მონაწილეები დიზელის საწვავს ფასდაკლებით მიიღებენ, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა“, - აღნიშნა გიორგი ხანიშვილმა.

კომპანიის „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ დირექტორის, ლევან გიორგაძის განცხადებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში, 20 მაისიდან, „სოკარის” ავტოგასამართ სადგურებზე ფერმერები სახელმწიფო შედავათით შეუფერხებლად სარგებლობენ.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფასდაკლების ბარათები ფერმერებისთვის ეტაპობრივად გაიცემა, როგორც იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში (my.gov.ge-ზე ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის პრინციპით), ასევე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებსა და მუნიციპალიტეტებში არსებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში; 27 მაისიდან აგროდიზელის ფასდაკლების ბარათებს გასცემს ლიბერთი ბანკის ფილიალებიც.

ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, დიზელის შედავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

ბარათების გაცემა მოხდება პროგრამის ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო თანამესაკუთრეების შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე. პროგრამით 200,000-ზე მეტი ფერმერი ისარგებლებს.

პირველ ივლისამდე, ფასდაკლების ბარათით შესაძლებელია არაუმეტეს 50 ლიტრის ოდენობის საწვავის შეძენა, 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე - არაუმეტეს 300 ლიტრის, ხოლო 1 სექტემბრიდან, შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათების განაღდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტების პროექტი აქტიურ რეჟიმში ხორციელდება

პროექტის მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.

მათი განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხრეშოვანი გრუნტის მოწყობის და ბალასტის დატკეპნის სამუშაოები. სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტების პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 905 847 ლარია.

პროექტის დასრულების შემდეგ მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით 400-ზე მეტი ადგილობრივი და სოფლის სტუმარი ისარგებლებს.

სურამში, მშვიდობის ქუჩა ახალ სახეს მიიღებს

მშვიდობის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერის მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა.

მათი განმარტებით, მშვიდობის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების ღირებულება 1296 939 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება, ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები და ტურისტული ინფრასტრუქტურა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახლდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების ინფორმაციით,სამუშაოები მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გზის ყველა დაზიანებულ მონაკვეთზეა გათვალისწინებული.

ხაშურში სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდა, დღეისათვის კი, გზების რეაბილიტაცია სურამის მიმართულებით გრძელდება.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს და ჯამში 119 037 ლარს მოიცავს.

სასტუმრო "მწერლები"-ქვიშხეთში, უმაღლესი კლასის სასტუმრომ პირველი ვიზიტორები მიიღო



შიდა ტურიზმის გახსნასთან ერთად, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით, სოფელ ქვიშხეთში, სასტუმრომ "მწერლები" ფუნქციონირება დაიწყო. "შიდა ქართლში მსგავსი დონის სასტუმრო პირველია, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური თუ ტურისტული განვითარების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, ქვიშხეთი და თვითონ სასტუმრო "მწერლები" მიმზიდველი ლოკაცია იქნება, როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი დამსვენებლებისთვის",-აღნიშნა სასტუმროს გახსნისას შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, რომელთან ერთად, გახსნის ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი და სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" დირექტორი მიხეილ ხიდურელი ესწრებოდნენ.

პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 15 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს და პირველი ორი წლის განმავლობაში, აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" დააფინანსებს. 20 ნომრიან სასტუმროში, ამ ეტაპზე, 30 ადამიანი დასაქმდა, თუმცა, სამომავლოდ, სასტუმროს მენეჯმენტი 40-მდე ნომრის დამატებას და დასაქმებულთა გაზრდას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივია.

სასტუმროში განთავსებულია ქართული ტრადიციული კერძების რესტორანი, ლაუნჯი, საკონფერენციო დარბაზი, მინიკინოთეატრი და ბავშვთა ოთახი. სასტუმროს ტერიტორიაზეა ორი აუზი, ღია და გადახურული ვერანდა, სათამაშო მოედანი და ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი.

სასტუმრო "მწერლები" ულამაზესი ხედებით და უმაღლესი კლასის მომსახურებით მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

დაბა სურამში, ზინდისის დასახლებაში, მინი სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობს!

„მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მინი-სტადიონების მშენებლობა -რეაბილიტაცია ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჯერადაც, დაბა სურამში, ზინდისის დასახლებაში მინი სტადიონის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100000 ლარი გამოვყავით. მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრების ხელშეწყობის ტენდენცია კვლავაც აქტიურად გაგრძელდება“. -აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდა მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, მისი განმარტებით, პროექტის განხორციელების შემდეგ, მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრებისთვის, კიდევ უფრო მეტი სივრცე შეიქმნება. ვინაიდან სურამი ტურისტული ზონაა, აღნიშნული მინი სტადიონით ისარგებლებს როგორც ადგილობრივი მცხოვრები, ასევე ჩამოსული სტუმარი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებასაც.

საქართველოში პროფესიული განათლების მიღება ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია

სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფო სასწავლებლებში და ნაწილობრივ კერძო კოლეჯებში, პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო და 10 აგვისტომდე გაგრძელდება

მთელი საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო პროფესიული დაწესებულებები სტუდენტებს 120 პროფესიულ პროგრამაზე მიიღებენ.

მაღალია და მზარდია პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებული მონაცემებით: 2016 - 56% 2017 - 60% 2018 - 62%)

წელს პირველად:

ცხრა კლასის განათლების მქონე პირები შეძლებენ სწავლა განაგრძონ ინტეგრირებულ პროგრამებზე 10 კოლეჯში და მიიღონ დიპლომი, რომელიც უთანაბრდება სრული ზოგადი განათლების ატესტატს.

შემუშავდა ჩარიცხვის ახალი მიდგომა, რომელიც ზრდის ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ განათლებაზე წვდომას.

პროგრამებზე, რომელზეც არ დაფიქსირდება კონკურსი, აპლიკანტები ჩაირიცხებიან ეროვნული ტესტირების გარეშე, დაწესებულების შიდა შერჩევის გზით.

რეგისტრაციისთვის, კოლეჯების ჩამონათვალის და სხვა დამატებითი ინფორმაციის სანახავად იხილეთ ბმული → www.vet.emis.ge

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.